საკონკურსო ნაშრომის შესრულების სტანდარტები

ნაშრომის ფორმატის აღწერა:

- ენა - ქართული
- ფორმატი - A4
- შრიფტი - Sylfaen, ზომა 11
- სტრიქონებს შორის დაშორება - 1,5
- თავებისა და ქვეთავების შრიფტის ზომა - 14
- ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, სქოლიო, შენიშვნა და სხვა - შრიფტით 10; სტრიქონებს შორის დაშორება - 1
- მინდორი: გვერდითი - 2-3 სმ.; ზედა / ქვედა - 3-4 სმ.
- ნაშრომის გვერდების მაქსიმალური რაოდენობა - 6 (გვერდების რაოდენობაში არ შედის დანართები, საილუსტრაციო მასალა - ფოტოები, ნახაზები, სქემები, ა.შ.)

აუცილებელია გვერდების დანომვრა გარდა სატიტულო გვერდისა.

ნაშრომის სტრუქტურა:

- სატიტულო გვერდი:
  - სტუდენტის სახელი და გვარი
  - თემის დასახელება
  - უნივერსიტეტი
  - კათედრა/სპეციალობა
  - ფაკულტეტი
  - წელი
- ანოტაცია: ასახეთ ნაშრომის ძირითადი მიზანი და მოკლე შინაარსი (1-2 აბზაცი);
- სქოლიო განათავსეთ საჭიროებისამებრ, თითოეული გვერდის ბოლოს; ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით;
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა განათავსეთ ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჩამონათვალში ჯერ წარმოადგინეთ გამოცემები ქართულ ენაზე, შემდეგ - უცხოურ ენებზე; ლიტერატურული წყაროს მითითებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი სტილი:
  - სტატია: გვარი. სახელი, სათაური, ჟურნალის დასახელება ან აბრევიატურა. წელი, ტომი, ნომერი, გვერდები (დასაწყისი-დასასრული)
  - წიგნი: ცალკეული გვერდების მითითებისას: გვარი. სახელი, სათაური., გამომცემლობა, წელი, (ტომი), გვერდები
  - ინფორმაცია გლობალური ქსელი: ვებ–გვერდის დასახელება. მიუთითეთ უკანასკნელი გადამოწმების რიცხვი, თვე, წელი
- შესაბამისი სქემები და სურათები წარმოადგინეთ დანართის სახით.

ნაშრომის წარდგენა აუცილებელია ელექტრონულად (MS Word-ის დოკუმენტად), ასევე, ამობეჭდილი სახით. ამობეჭდილ ვერსიას ყოველ გვერდზე უნდა ჰქონდეს ავტორის ხელმოწერა.